პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის **„ოპიზარი“** დირექტორის
27/05/2026წ. #624562 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი "ოპიზარი”
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ელექტროობა

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ. 111
ტელეფონი: T-591411272 ;
ელ-ფოსტა: opizari2011@gmail.com
ვებგვერდი: http://opizarivet.ge/
პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა ბერიძე

2026 წ.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგარმის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) -** ელექტროობა/Electricity
2. **სარეგისტრაციო ნომერი –** 07.24.1
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) -** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/Basic Vocational Qualification in Electricity
4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** – უზრუნველყოს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.
5. **კვალიფიკაციის დონე**

   5.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - დონე 3
6. **კლასიფიკაციის აღწერა**

   6.1 ISCED კოდი და აღწერა: 0713 ელექტროტექნიკა და ენერგია - *შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერგია შეისწავლის ენერგიის გენერირებას*

   6.2 ISCO კოდი: 7411: ელექტრიკოსები; 7412 ინჟინერ-ელექტრომექანიკოსები; 7413 მონტიორი

   6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.12.0 ელექტროენერგიის გადაცემა. 35.13.0. ელექტროენერგიის განაწილება.
7. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების შესაძლებლობები**

   ელექტროკოსი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტროდანადგარების მომსახურედ: მემონტაჟე ელექტრიკოსად, შენობის ელექტრიკოსად, გამანაწილებელი ქსელის ელექტრიკოსად, ელექტრო-მექანიკოსად, ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების ელექტრიკოსად, ელექტროენერგიის გამომმუშავებელი სადგურების ელექტრიკოსად.
8. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

   8.1 საბაზო ზოგადი განათლება
9. **სწავლის შედეგები**

   კურსდამთავრებულს შეუძლია:

   9.1. უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვა

   9.2. აღწეროს ელექტრული წრედების ელემენტები და საზომი ხელსაწყოები

   9.3. უზრუნველყოს ელექტროობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით

   9.4. აღწეროს ელექტრული მანქანები

   9.5. აღწეროს ელექტრული ტექნოლოგია

   9.6. უზრუნველყოს მუდმივი და ცვლადი დენების ანგარიში და წრედებში დანაკარგები

   9.7. გამოიყენოს მათემატიკა ელექტროობაში

   9.8. განახორციელოს ელექტროსამონტაჟო სამუშაოები

   9.9. უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა

10. **სწავლის შედეგების დეტალური აღწერა**

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	*საკვანძო კომპეტენციები*							
			მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	*უცხო ენაზე კომუნიკაცია*	*მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში*	*ციფრული კომპეტენცია*	*დამოუკიდებლად სწავლის უნარი*	*პიროვნებათშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები*	*მეწარმეობა*	*კულტურული გამოცდილება*
შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	1.1 აცნობიერებს საქართველოში მოქმედ ელექტროენერგეტიკული სექტორის საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებს 1.2. აღწერს საქართველოში მოქმედ ელექტრო-უსაფრთხოების რეგულაციებს 1.3. განსაზღვრავს რისკებს სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირების საფუძველზე 1.4. იაზრებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის და ნარჩენების მართვის წესებს 1.5. მწვანე ენერგიის და გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპების დახასიათება	• იცის საქართველოში მოქმედი შრომის უსაფრთხოების რეგულაციები და უსაფრთხოების დარღვევასთან დაკავშირებული სანქციები • იცის შრომის ინსპექციის სამსახურის, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების როლები და ფუნქციები • იცის სამუშაო გარემოში გამოყენებული უსაფრთხოების ნიშნები და მათი მნიშვნელობა • იცის დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებებს • იცის უსაფრთხოების ტექნიკის წესების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განმარტება • იცის ელექტროენერგეტიკული დანადგარების და მოწყობილობების დანიშნულება • იცის საკაბელო ხაზებზე მუშაობის არსი • იცის საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზებზე მუშაობისას უსაფრთხოების წესები	✓					✓		

		• იცის უსაფრთხოების წესები 1000 ვ-მდე ძაბვის ქსელში გამოცდების და გაზომვების წარმოებისას • იცის გადასატანი ელექტროინსტრუმენტების და სანათების, ხელის ელექტრული მანქანების და გამყოფი ტრანსფორმატორების უსაფრთხოების წესები • იცის სიმაღლეზე ასვლის წესები • იცის ელექტროდანადგარების მოწყობის წესების ზოგადი მოთხოვნები • იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დანიშნულება და გამოყენება • იცის ხანძრის დროს უსაფრთხოების წესები • იცის ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლოატაციის წესები • იცის მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ეკოლოგიური და ორგანიზაციული საფრთხეების სახეები და მათგან გამომდინარე რისკები • იცის საფრთხეებისა და რისკების განსხვავება • იცის რისკების შეფასების საფეხურები და პრევენციული მექანიზმები • იცის რისკების დოკუმენტის შევსება • იცის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მნიშვნელობა და პროცედურები • იცის ნარჩენების და დასუფთავების მართვის უზრუნველყოფა • იცის გარემოს დაცვის მნიშვნელობა და ძირითადი პრინციპები;								

		• იცის საქართველოში მოქმედი გარემოს დაცვის რეგულაციები; • იცის მდგრადი განვითარების მნიშვნელობა; • იცის დაბინძურების წყაროები, მიზეზები და მათი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე; • იცის ნარჩენების სახეები და კლასიფიკაციის პრინციპები; • იცის ნარჩენების წარმოქმნის წყაროების იდენტიფიცირება და პრევენციული ღონისძიებები; • იცის ნარჩენების მართვის კოდექსის ძირითადი მოთხოვნები • იცის მწვანე ენერგიის მნიშვნელობა და ენერგოეფექტურობის საკითხები • იცის თავისი როლი და ფუნქციები მწვანე ენერგიის კონტექსტში								
ზოგადი ელექტროტექნიკა	2.1. აღწერს ელექტრული წრედების ელემენტებს 2.2. აღწერს სამფაზიან წრედებს 2.3. აღწერს ელექტროტექნიკურ გაზომვებს და საზომი ხელსაწყოებს	• იცის ელექტრული ველის ძირითადი ცნებები • იცის მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრული წრედები • იცის ელექტროლიზის პრინციპები და ტიპები • იცის ნახევარგამტარული ხელსაწყოების, დიოდების, ტირისტორების და სტაბილოტრონების დანიშნულება • იცის ელექტროლიზის ხელსაწყოების კლასიფიკაცია • იცის სამფაზიანი წრედების აღწერა • იცის შესავალი და გამოსავალი პარამეტრები ცვლადი დენის წრედში • იცის დანაკარგების აღწერა ერთფაზიანი ცვლადი დენის წრედში და სამფაზიან წრედებში	✓							

		• იცის დენის, ძაბვის, სიმძლავრის, ელექტრული ენერგიის და წინაღობის გაზომვა								
ელექტროობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით	3.1. საინჟინრო ნახაზების წაკითხვა 3.2. ნახაზის შესრულება CAD სისტემის გამოყენებით	• იცის საინჟინრო ნახაზის დანიშნულება • იცის ტექნიკური ნახაზების ტიპები დისციპლინების (არქიტექტურული, კონსტრუქციული, საინჟნრო) მიხედვით • იცის ელექტროობის სისტემის საპროექტო ალბომში შემავალი დოკუმენტაცია • იცის ელექტრულ სქემებში გამოყენებული ძირითადი სიმბოლოების და აღნიშვნების დანიშნულება • იცის CAD პროგრამული უზრუნველყოფის სამართავი პანელის მართვა და ფუნქციები იცის სტანდარტული კომპონენტების ნახაზების შექმნა ხაზვის ტექნიკის გამოყენებით • იცის ნახაზის დამზადება და მოდიფიცირება	✓	✓		✓				
ელექტრული მანქანები	4.1. აღწერს და განმარტავს ელექტრულ მანქანებს და მათ დანიშნულებას 4.2. აღწერს ტრანსფორმატორების ტიპებს და მათ დანიშნულებას 4.3. განმარტავს მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრული მანქანების მოქმედების პრინციპებს	• იცის ელექტრული მანქანების სახეები, კლასიფიკაცია, საერთო ენერგეტიკული სქემა და შექცევადობის პრინციპი • იცის ელექტროდინამიკის ძირითად კანონები • იცის თბოგადაცემის ძირითადი კანონები • იცის ელექტრულ მანქანებში გამოყენებული ძირითადი მასალები • იცის ტრანსფორმატორის მუშა პროცესის არსი, მაგნიტური სისტემა, გრაგნილები, მოვლენები ტრანსფორმატორის გულანის დამაგნიტების დროს, არასიმეტრიული დატვირთვა და პარალელური მუშაობა	✓							

		• იცის ტრანსფორმატორში ძაბვის რეგულირება, მოკლედ შერთვის პროცესი, გახურება-გაცივება და გადაძაბვები • იცის მუდმივი და ცვლადი დენის მანქანების დანიშნულება, მოწყობა და მუშაობის პრინციპები • იცის პარალელური და შერეული აგზნების გენერატორის მუშაობის დანიშნულება და პრინციპები • იცის ასინქრონული ელექტროძრავის სტატორის და როტორის პრინციპები, დანაკარგები და მარგი ქმედების კოეფიციენტი • იცის სინქრონული მანქანების მუშაობის პრინციპები								
ელექტრული ტექნოლოგია	5.1. აღწერს ელექტროენერგიის წარმოების მეთოდებს 5.2. აღწერს ელექტროენერგიის გადაცემის განაწილების და მოხმარების პრინციპებს 5.3. აღწერს ელექტროტექნიკურ მასალებს 5.4. აღწერს ელექტრული ტექნოლოგიების გამოყენების სფეროებს	• იცის საქართველოში მოქმედი ენერგოობიექტები და მათი დანიშნულება • იცის ელექტროსადგურების ტიპები და მუშაობის პრინციპები • იცის ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი სისტემები • იცის ელექტროენერგიის მოხმარების და ეფექტიანობის მნიშვნელობა • იცის ელექტროტექნიკური მასალების ფიზიკური, მექანიკური და ტემპერატურული მახასიათებლები • იცის ელექტრული ტექნოლოგიის გამოყენება წარმოებაში, სამრეწველო ავტომატიზაციასა და რობოტიკაში, კომუნიკაციასა და კავშირგაბმულობაში, საცხოვრებელ და კომერციულ სივრცეებში, ელექტრომობილებსა და ტრანსპორტში	✓							

ელექტრული წრედები	6.1. ანგარიშობს მუდმივი დენის წრედს 6.2. ანგარიშობს ცვლადი დენის წრედებს 6.3. ანგარიშობს წრედებში დანაკარგებს 6.4. აწარმოებს ელექტროტექნიკურ გაზომვებს საზომი ხელსაწყოების გამოყენებით	• იცის დენის, ძაბვის და წინაღობის გამოთვლა ცვლადი და მუდმივი დენის ქსელებში ომის და კირჰოფის კანონების გამოყენებით • იცის სხვადასხვა ტიპის მუდმივი დენის წყაროების სპეციფიური მახასიათებლები და ფუნქციონალური დანიშნულება • იცის ნახევრადგამტარული დიოდების ბოგირების გამოყენება მუდმივი დენის წყაროებში დენის გასამართად • იცის ტირისტორების და სიმისტორების გამოყენება მუდმივი დენის წყაროს დატვირთვის სამართავად • იცის სტაბილიტრონების გამოყენება მუდმივი დენის წყაროს გამოსავალი ძაბვის სტაბილიზაციისთვის • იცის სხვადასხვა ტიპის აკუმულატორების ექსპლუატაციის თავისებურებები • იცის წრედში დანაკარგების განსაზღვრა • იცის ელექტრული წრედის მიმდევრობითი, პარალელური და შერეული შეერთებები • იცის ოსცილოგრაფი გამოყენება ცვლადი დენის წრედის კონტროლისთვის • იცის ფაზის წანაცვლება L-C პარამეტრებიან წრედებში • იცის L-C პარამეტრებიან წრედებში რეაქტიული წინაღობის გამოთვლა ცვლადი დენის წრედში • იცის წინაღობის გამოთვლა R-L-C პარამეტრებიან ცვლადი დენის წრედში მიმდევრობითი და პარალელური შეერთების დროს	✓							

		• იცის აქტიური და რეაქტიული სიმძლავრის ანგარიში • იცის ტირისტორების და სიმისტორების გამოყენება ცვლადი დენის წყაროს დატვირთვის სამართავად • იცის სამფაზიან წრედებში დანაკარგების ანგარიში • იცის დანაკარგების ანგარიში ერთფაზიანი ცვლადი დენის წრედში • იცის ელექტრული სიდიდეების გაზომვა ელექტროსაზომი ხელსაწყოების გამოყენებით								
მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	7.1. ახორციელებს არითმეტიკულ მოქმედებებს რიცხვებზე 7.2. ითვლის და ზომავს გეომეტრიულ ფიგურებს 7.3. იყენებს ტრიგონომეტრიას პრაქტიკაში 7.4. იყენებს ალგებრას პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად 7.5. იყენებს ფუნქციებს, მათ თვისებებს და გრაფიკებს პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად 7.6. ახორციელებს მონაცემთა ანალიზს	• იცის რიცხვების კლასიფიკაცია და მათზე მოქმედებები • იცის ხარისხის გამოყენება მთელი მაჩვენებლით • იცის შემოკლებული გამრავლების ფორმულების და არითმეტიკული ფესვის გამოყენება • იცის ფუნქციის გამოყენება • იცის სხვადასხვა სახის კუთხის გაზომვა • იცის წრფეთა ურთიერთგანლაგება • იცის გეომეტრიული ფიგურების აგება, პერიმეტრის, ფართობის და მოცულობის გამოთვლა • იცის სინუსის, კოსინუსის, ტანგენსის და კოტანგენსის მნიშვნელობის გამოთვლა • იცის ტრიგონომეტრიული გამოსახულებების გარდაქმნა, განტოლებების ამოხსნა და ფუნქციების ჯამის გადაქცევა ნამრავლად და ნამრავლის ჯამად • იცის რაციონალური და ირაციონალური განტოლებების და განტოლებათა სისტემების ამოხსნა	✓		✓	✓				

		• იცის კოორდინატულ სიბრტყეზე განტოლებებისა და უტოლობების ამოხსნა • იცის რაციონალური, ირაციონალური, და ტრიგონომეტრიული უტოლობის არსი და მათი გადაჭრის ძირითადი ტექნიკა • იცის ფუნქციის თვისებები და გრაფიკული ინტერპრეტაცია • იცის არითმეტიკული მოქმედებების განხორციელება ფუნქციებზე • იცის ტრიგონომეტრიული ფუნქციების და გრაფიკების არსი • იცის მონაცემთა შეგროვების ხერხების გამოყენება • იცის სტატისტიკური/ალბათური ცნებები • იცის მათემატიკური კალკულატორების გამოყენება								
ელექტროსამონტაჟო სამუშაოები	8.1. ახორციელებს ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს 8.2. ახორციელებს უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზებას 8.3. ახორციელებს შენობა-ნაგებობების ელექტრომოწყობილობების მონტაჟს 8.4. აწყობს დამიწების კონტურს	• იცის ელექტრო სქემების ტიპები და სახეები • იცის ელექტროგაყვანილობის სამონტაჟო სამუშაოების დაგეგმვა და სქემაზე მონიშვნა • იცის მონტაჟი ელექტროსამონტაჟო სქემის/ნახაზის მიხედვით უსაფრხთოების წესების დაცვით • იცის სამუშაო გარემოს ორგანიზება შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, სამუშაო იარაღებისა და ინვენტარის გათვალისწინებით • იცის შემყვან-გამანაწილებელი მოწყობილობები კომპონენტების, გამანაწილებელი ფარის, ელექტროგაყვანილობის სადენების, დამცავი მილების, ელექტრო	✓		✓	✓	✓			

		მოწყობილობების 1000 ვ-მდე ქსელის დამიწების და მეხამრიდის მონტაჟი • იცის ელექტროდანადგარების ვიზუალური დათვალიერება, დეფექტების გამოვლენა და შესაბამისი აქტების შედგენა • იცის ელექტროდანადგარების დემონტაჟი • იცის დამცავი დამიწების სისტემის ტიპების გარჩევა და დამიწება • იცის 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროდანადგარებში ყრუდდამიწებულ ნეიტრალიანი წრედების დამიწების მოწყობა • იცის დამამიწებელი გამტარების დამამიწებელთან და ელექტრომოწყობილობებთან მიერთება • იცის დამცავი დამიწების კონტურის მოწყობა და ელექტრომოწყობილობებთან მიერთება								
პირველადი გადაუდებელი დახმარება	9.1. იყენებს პირველადი გადაუდებელი დახმარების ჩანთაში არსებულ სამედიცინო დანიშნულების ნივთებს; 9.2. მართავს უგონო მდგომარეობას სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე 9.3. ატარებს ღონისძიებებს დაზარალებულის დასახმარებლად უცხო სხეულის გადაცდენის დროს; 9.4. მართავს სისხლდენას და დაზარალებულის შოკის მდგომარეობას სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე;	• იცის პირველადი გადაუდებელი დახმარების ჩანთაში არსებული სამედიცინო დანიშნულების ნივთების გამოყენების წესი; • იცის პირველადი გადაუდებელი დახმარების D.R.C.A.B.D ალგორითმის განმარტების საფუძვლები; • იცის გულის/სუნთქვის გაჩერების ამოცნობის წესი; • იცის უგონო მდგომარეობის მართვის წესი; • იცის ბავშვებსა და მოზრდილებში ჰეიმლიკის მანევრის ჩატარების წესი; • იცის ჩვილებში სენდვიჩისებრი მოძრაობების ჩატარების წესი;	✓							

	9.5. მართავს დაზარალებულს ტრავმული მდგომარეობის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე; 9.6. მართავს დაზარალებულის მდგომარეობას სხვადასხვა ნაკბენის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე; 9.7. მართავს დაზარალებულის მდგომარეობას მოყინვის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე; 9.8. მართავს დაზარალებულის მდგომარეობას დამწვრობის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე; 9.9. მართავს დაზარალებულის მდგომარეობას სხვადასხვა სახის მოწამვლის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე; 9.10. იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას; 9.11. გადასცემს ინფორმაციას დაზარალებულის შესახებ პროფესიონალებს და არაპროფესიონალებს ეთიკის წესების დაცვით.	• იცის ჭრილობის სახეობები; • იცის სისხლდენის სახეობები; • იცის სისხლდენის შეჩერების წესი; • იცის დამწოლი ნახვევის დადების მეთოდი; • იცის შოკის სხვადასხვა სახეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები; • იცის ტრავმის სახეობები; • იცის ქარხნული და იმპროვიზებული არტაშანის გამოყენების წესი; • იცის კისრის საყელოს გამოყენების წესი; • იცის ნაკბენის სახეობები; • იცის სხვადასხვა ნაკბენის შემთხვევაში ღონისძიებების გატარების წესი; • იცის მოყინვის სახეები და ხარისხები; • იცის მოყინვის მართვის წესი; • იცის დამწვრობის სახეები და ხარისხები; • იცის დამწვრობის მართვის წესი; • იცის მოწამვლის სახეები; • იცის მომწამლავი ნივთიერებების სახეები; • იცის სხვადასხვა სახის მოწამვლისას შესაბამისი ღონისძიებების გატარების წესი; • იცის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების წესი; • იცის დაზარალებულის შესახებ ინფორმაციის გაცემისას ეთიკის წესები.								

11. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით და 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 59 კრედიტის მოცულობით. „ელექტროობაში“ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 66 კრედიტის დაგროვება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** განხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, რომლის პროფესიული მოდულების 59 კრედიტიდან 10.2 % მიიღწევა პარტნიორი კომპანიის ბაზაზე, რაც ასახულია გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო 89.8% სსიპ კოლეჯში **„ოპიზარი“ ქ.** ახალციხე შოთა რუსთაველის ქ.#111

საწარმოში გატანილი მოდულების სწავლის შედეგები:

- **მოდული- „ ელექტროსამონტაჟო სამუშაოები “**

N3 შედეგი „ ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოება “ (50 სთ)
N4 შედეგი „ შენობა-ნაგებობების ელექტრომოწყობილობების მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება “ (75 სთ)

- **მოდული- „ ელექტრული ტექნოლოგია “**

N5 შედეგი „ სფეროში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა “ (25 სთ)

მოდულის „ქართული ენა“ A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 24 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით, მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2” სწავლებისათვის. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სულ 81 კრედიტი. კოლეჯი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

- **მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის: 66** კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა**: 14 თვე
- **მოცულობა არაქართულენოვან სტუდენტებისათვის:** 81კრედიტი,
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 17 თვე

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
ინფორმაციული წიგნიერება	2		
უცხოური ენა	3		
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2		
პროფესიული მოდულები			
შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	8		
ზოგადი ელექტროტექნიკა	6		
ელექტროობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით	6	✓	
ელექტრული მანქანები	6		
ელექტრული ტექნოლოგია	8		
ელექტრული წრედები	7	✓	
მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	6	✓	
ელექტროსამონტაჟო სამუშაოები	10	✓	
პირველადი გადაუდებელი დახმარება	2	✓	
სულ კრედიტები	**66**		

12. **დამატებითი ინფორმაცია**

12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12.2 კვალიფიკაციის მინიჭება

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა, უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ **ელექტროობა“** განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები .

12.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტის 12.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი № 1.1-სასწავლო გეგმა

მოდულები:

დანართი 1.2 ინფორმაციული წიგნიერება

დანართი 1.3 უცხოური ენა

დანართი 1.4 პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები

დანართი 1.5 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

დანართი 1.6 ზოგადი ელექტროტექნიკა

დანართი 1.7 ელექტროობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით

დანართი 1.8 ელექტრული მანქანები

დანართი 1.9 ელექტრული ტექნოლოგია

დანართი 1.10 ელექტრული წრედები

დანართი 1.11 მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის

დანართი 1.12 ელექტროსამონტაჟო სამუშაოები

დანართი 1.13 პირველადი გადაუდებელი დახმარება

დანართი 1.14 ქართული ენა A2

პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის პარტნიორ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებები:

ხელშეკრულება#20 01.04.2026 სს **„ენერგო-პრო ჯორჯია“;**
ხელშეკრულება #19/1 31.03.2026 **შპს „არალი“**
ხელშეკრულება #24 01.04.2026 **შპს „ახალციხე 23“**